

საგანმანათლებლო პროგრამა

“ც” კატეგორიის მძღოლი

1. პროგრამის შემუშავების საფუძველი

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული კოლეჯი-ს “ოპიზარი” პედაგოგების მიერ. მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის თეორიული და პრაქტიკული სწავლების პედაგოგებმა რ. ნათენაძემ და კ. ზედგინიძემ.

2. პროგრამა

„ც“ კატეგორიის მძღოლი

3. სწავლების ხანგრძლივობა

60 დღე 10 (ათი) კვირა 168 სთ

4. პროგრამაზე დაშვების პირობები

პროგრამაზე დაიშვება პიროვნება რომელსაც შეუსრულდება 18 წელი

5. პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია მოამზადოს „ც“ კატეგორიის ავტომძღოლი, რომელსაც ეცოდინება მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების აგებულება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათი მუშაობის პრინციპი.

6. სწავლების შედეგი

პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. სატვირთო ავტომობილის მართვა, იცის ავტომობილის მოწყობილობა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი.
2. იცის მოძრაობის წესები, სატვირთო ავტომობილის უსაფრთხო მართვის საფუძველები და მოძრაობის უსაფრთხოება;
3. იცის პირველადი სამედიცინო დახმარება.

7. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კაბინეტები	ლაბორატორიები;	სასწავლო სახელოსნო
ავტომობილების მოძრაობის წესები-ის;	მსუბუქი ავტომობილების მოწყობილობა	ავტომობილების სასწავლო სახელოსნო; სარემონტო სახელოსნო.

8.სასწავლო პრაქტიკა: სასწავლებლის ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნო. სასწავლო პრაქტიკის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშაოს პროფესიისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. მსუბუქი ავტომობილები: ვაზ-2106, შკოდა ფლეში. სატვირთო ავტომობილი გაზ-53.

9. გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. როდიჩევი - „ტრაქტორები და ავტომობილები“
2. ო. მშვილდაძე - „ტრაქტორები და ავტომობილები“
3. ჯ. კაციტაძე - „ მანქანების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“
4. ი. კოზლოვი - „ მანქანების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“
5. ი. მეკოვიშვილი - „საგზაო მოძრაობის წესები“
6. ალექსევი – უსაფრთხო მართვის საფუძვლები

სასწავლო გეგმა

#	საგანი	სულ	თეორია	ლაბ. პრაქტიკა
1	საგზაო მოძრაობის წესები	90	74	16
2	ავტომობილების ექსპლუატაცია	30	12	18
3	ავტომობილის მოწყობილობა	30	20	10
4	პირველადი სამედიცინო დახმარება	12	10	2
5	კონსულტაცია, შეფასება	6	3	3
	ჯამი	168	119	49